



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №05

2013 წლის 23 იანვარი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №142 განკარგულებით დამტკიცებულ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნას ცვლილება და დამატებები ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №142 განკარგულებით დამტკიცებულ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს წესდებაში -თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (რ.კარალიძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე.ბაგრატიონი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ არის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი სკოლამდელი სააღზრდელი დაწესებულება (შემდგომში გაერთიანება).
2. გაერთიანებას აქვს საკუთარი ბაღანსი, ანგარიში ბანკში და ხაზინაში, ბეჭედი, შტამპი და სტატუსის შესაბამისი სხვა ატრიბუტები.
3. გაერთიანება ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების და საკუთარი შინაგანაწესის საფუძველზე.
4. გაერთიანება არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.
5. გაერთიანება უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, საიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზაციას.
6. გაერთიანება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
7. გაერთიანების იურიდიული მისამართია: ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141.

მუხლი 2. მიზანი და ფუნქციები

1. გაერთიანების მიზნებია:
 - ა) მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის;
 - ბ) საფუძველი ჩაუყაროს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას;
 - გ) საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას;
 - დ) ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას;
 - ე) ხელი შეუწყოს ჯანმრთელობის განმტკიცებას;
 - ვ) ბავშვს ჩაუნერგოს სხვისი აზრისა და საკუთრების პატივისცემა;
 - ზ) ხელი შეუწყოს ბავშვის შემოქმედებითი შესაძლებლობისა და ინტერესების განვითარებას.
2. გაერთიანების ფუნქციებია:
 - ა) ოჯახთან ურთიერთკავშირში იზრუნოს ბავშვის სრულფასოვან განვითარებაზე;
 - ბ) დაიცვას ბავშვი ნებისმიერი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედებისაგან.
 - გ) დაიცვას ბავშვის ღირსება.

მუხლი 3. საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული პროცესის ორგანიზება

1. გაერთიანების საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული პროცესი უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამების განხორციელებას.
2. გაერთიანებას უფლება აქვს შეიმუშაოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული პროგრამები.
3. გაერთიანებას უფლება აქვს სტანდარტს ზემოთ სარგებლობისათვის აირჩიოს ალტერნატიული და ვარიანტული პროგრამების შესაბამისი ტექნოლოგიები, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით.
4. გაერთიანების საგანმანათლებლო – საადმინისტრაციული პროცესის ორგანიზაციის ფორმები განისაზღვრება შინაგანაწესით.
5. გაერთიანების საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის საფუძველია:
 - ა) დაბადების მოწმობა (დედანი);
 - ბ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;
 - გ) ბავშვის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება.
6. გაერთიანების საბავშვო ბაღებში ჩარიცხვა წარმოებს გაერთიანების დირექტორის ინდივიდუალური, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე;
7. საბავშვო ბაღში ჩარიცხვაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული წერილობითი ფორმით.
8. გაერთიანების დირექტორი ვალდებულია აღსაზრდელის დაწესებულებაში მიღებამდე მის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) გააცნოს დაწესებულების შინაგანაწესი.
9. საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული პროცესის მონაწილენი არიან:
ბავშვები ----- აღმზრდელები ----- მშობლები
10. საბავშვო ბაღის აღსაზრდელის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) უფლება აქვს:
 - ა) მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მართვაში, სამეურვეო საბჭოში არჩევის გზით.
 - ბ) მოითხოვოს ინფორმაცია საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული პროცესის მსვლელობის შესახებ და/ან მიიღოს მონაწილეობა მასში.
11. მშობელი (კანონიერ წარმომადგენელი) ვალდებულია პატივი სცეს საბავშვო ბაღების გაერთიანების კოლექტივის შრომას და ითანამშრომლოს მასთან აღსაზრდელის ინტერესებიდან გამომდინარე.
12. საბავშვო ბაღების გაერთიანების აღზრდელს უფლება აქვს:
 - ა) მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მართვაში სამეურვეო საბჭოში არჩევის გზით.
 - ბ) აიმაღლოს კვალიფიკაცია;
 - გ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა.
13. აღმზრდელი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას წესდებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;
 - ბ) უზრუნველყოს ბავშვის ინტერესების დაცვა მშობლებთან და მედპერსონალთან უშუალო კავშირში;
 - გ) დაიცვას კოლექტივობის პრინციპი და ეთიკის ნორმები;
14. აღსაზრდელის უფლებებს იცავს „საერთაშორისო“ და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.
15. საბავშვო ბაღში საადმინისტრაციული ჯგუფების დაკომპლექტება ხდება ასაკის მიხედვით:
 - ა) უმცროსი ჯგუფი – 3-4 წლამდე ასაკის;
 - ბ) საშუალო ჯგუფი – 4 -5 წლამდე ასაკის;
 - გ) უფროსი ჯგუფი – 5-6 წლამდე ასაკის;

16. საბავშვო ბაღის საამღზრდელო ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია არა უმეტეს:

- ა) უმცროსი ჯგუფი – 30 აღსაზრდელი;
- ბ) საშუალო ჯგუფი – 30 აღსაზრდელი;
- გ) უფროსი ჯგუფი – 30 აღსაზრდელი;

მუხლი 4. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურა შედგება:

- ა) სტრუქტურული ქვედანაყოფები;
- ბ) სამეურვეო საბჭო;
- გ) პედაგოგიური საბჭო;

მუხლი 5. სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფების მეშვეობით.

2. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) ადმინისტრაცია;
- ბ) ქალაქ ქობულეთის №1 საბავშვო ბაღი;
- გ) ქალაქ ქობულეთის №2 საბავშვო ბაღი;
- დ) ქალაქ ქობულეთის №3 საბავშვო ბაღი;
- ე) ქალაქ ქობულეთის №4 საბავშვო ბაღი;
- ვ) ქალაქ ქობულეთის №5 საბავშვო ბაღი;
- ზ) სოფელ აღამბრის საბავშვო ბაღი;
- თ) სოფელ გვარას საბავშვო ბაღი;
- ი) სოფელ ჩაისუბანის საბავშვო ბაღი;
- კ) საჩინოს თემის საბავშვო ბაღი;
- ლ) დაბა ოჩხამურის საბავშვო ბაღი;
- მ) ციხისძირის თემის საბავშვო ბაღი;
- ნ) სოფელ ლედვას საბავშვო ბაღი;
- ო) სოფელ აჭყვისთავის საბავშვო ბაღი;
- პ) ხალას თემის საბავშვო ბაღი;
- ჟ) დაბა ჩაქვის საბავშვო ბაღი;

მუხლი 6. ადმინისტრაცია

1. ადმინისტრაციაში შედის;

ა) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი;

- ბ) მთავარი ბუღალტერი;
- გ) ბუღალტერი;
- დ) მეთოდისტი;
- ე) მწე;
- ვ) ლოგოპედი;
- ზ) იურისტი;

2. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

ა) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ბ) დირექტორად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი, ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები და არ მიუღწევია 65 წლის ასაკისათვის.

გ) დირექტორი:

გ.ა) სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს შინაგანაწესს და მშობელთა მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილ სტანდარტს ზევით დამატებითი მომსახურების ნუსხას.

გ.ბ) დაწესებულების დირექტორი წარმოადგენს საბავშვო ბაღის გაერთიანებას ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობებში, გასცემს მინდობილობებს, აფორმებს ხელშეკრულებებს საბავშვო ბაღის კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

გ.გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს საბავშვო ბაღების გაერთიანების ქონებას და სახსრებს;

გ.დ) უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტის შემუშავებას;

გ.ე) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის წარდგინებით შესათანხმებლად წარუდგენს საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტს;

გ.ვ) უზრუნველყოფს კადრების სწორ შერჩევას და კანონის შესაბამისად შრომითი ურთიერთობების რეგულირებას;

გ.ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით საბავშვო ბაღების შინაგანაწესს;

გ.თ) შეიმუშავებს წლიურ ანგარიშს საბავშვო ბაღების გაერთიანების საფინანსო საქმიანობისა და საგანმანათლებლო-საადამიანურ პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

გ.ი) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომელსაც წინასწარ ათანხმებს სამეურვეო საბჭოსთან.

გ.კ) საბავშვო ბაღის თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოს და საშტატო ნუსხას ამტკიცებს ბაღის დირექტორი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

გ.ლ) დირექტორის ურთიერთობები თანამშრომლებთან და მშობლებთან (კანონიერ წარმომადგენლებთან) რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

გ.მ) დირექტორი პირადად არის პასუხისმგებელი საბავშვო ბაღში არსებული ქონებისა და სახსრების განკარგვაზე.

გ.ნ) პასუხისმგებელია ბავშვთა უფლებების დაცვაზე, საყოფაცხოვრებო პირობების, ხარისხიანი კვების და შესაბამისი რეჟიმის უზრუნველყოფაზე.

გ.ო) საბავშვო ბაღის დირექტორს უფლება აქვს, არასაბიუჯეტო შემოსავლების არსებობის შემთხვევაში სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. შეხედულებისამებრ გამოიყენოს სახსრები საბავშვო ბაღის ინტერესების შესაბამისად.

გ.პ) დირექტორი ანგარიშვალდებულია – მშობლების, სამეურვეო საბჭოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.

გ.უ) დირექტორი წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა ქმედებები.

3.მთავარი ბუღალტერი:

- ა) ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ფინანსურ და ბუღალტრული მომსახურების უზრუნველყოფას;
- ბ) ახორციელებს საბუღალტრულ ადრიცხვის სწორ ორგანიზებას;
- გ) უზრუნველყოფს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების, ინვენტარის, დანადგარ-მოწყობილობების დროულ ადრიცხვას;
- დ) ახდენს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტის ყველა აქტივისა და პასივის თავისდროულ ადრიცხვას;
- ე) ახორციელებს კვარტალური და წლიური ბალანსის შედგენას;
- ვ) ახორციელებს საგადასახადო დეკლარაციის წარდგენას;
- ზ) ახორციელებს შესყიდვის გეგმის პროექტის მომზადებას;
- თ) ახორციელებს დამტკიცებული შესყიდვის გეგმის შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით შესყიდვების განხორციელების უზრუნველყოფას;
- ი) დირექტორს წარუდგენს ყოველთვიურ ანგარიშს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ფინანსური მდგომარეობის (მათ შორის განხორციელებული შესყიდვების) შესახებ;
- კ) ბუღალტერი ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე;
- ლ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგებლის შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ბუღალტერი:

- ა/ ახორციელებს პირველადი ადრიცხვის დოკუმენტაციის დამუშავებას;
- ბ/ ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების, ინვენტარის, დანადგარ-მოწყობილობის ადრიცხვას;
- გ/ ახორციელებს ქონების უწყისების წარმოებას, ცვეთის დარიცხვას;
- დ/ ახორციელებს დაფინანსებული დოკუმენტაციის დალაგება-დამუშავებას საარქივოდ.

5. მეთოდისტი:

- ა) საგანმანათლებლო-საადმზრდელი პროცესის მეთოდურ მხარეს ხელმძღვანელობს მეთოდისტი;
- ბ) შეიმუშავებს საგანმანათლებლო-საადმზრდელი პროგრამების პროექტებს.
- გ) შეიმუშავებს წინადადებებს ალტერნატიული და ვარიანტული პროგრამების, შესაბამისი ტექნოლოგიების შესახებ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით.
- დ) მეთოდისტი ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.
- ე) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის არყოფნისას, დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გათავისუფლებისას დირექტორის მოვალეობას ასრულებს მეთოდისტი, რომელიც ცვლის დირექტორს მისი არყოფნის შემთხვევაში. უფროსი აღმზრდელი (მეთოდისტი) ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

6. მნე:

- ა) ახორციელებს ქონებისა და პროდუქტების დაცვის ორგანიზებას;
- ბ) ახორციელებს შენობისა და ტერიტორიის დასუფთავების ორგანიზებას;
- გ) ახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვაზე კონტროლს;
- დ) ზრუნავს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვი ბაღების გაერთიანების აღსაზრდელთათვის ნორმალური პირობების შექმნაზე;
- ე) დადგენილი წესით განსაზღვრავს აღსაზრდელთა კვების რაციონს.

7.ლოგოპედი: მუშაობს საბავშვო ბაღის დირექტორის ხელმძღვანელობით, ბავშვთა ჩარიცხვის მომენტიდან ამოწმებს ბავშვების მეტყველებას 5 წლის ასაკიდან, არასწორი მეტყველების მქონე ბავშვებზე ადგენს საჭირო დოკუმენტაციას მშობელთან კავშირით, ადგენს სამუშაო გეგმას და მუშაობს როგორც ბავშვებთან, ასევე ინდივიდუალურად.

8. იურისტი:

- ა) ახორციელებს დირექტორის სამართლებრივი აქტების მომზადებას;
- ბ) ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვი ბაღების გაერთიანების საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას;
- გ) იცავს ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვი ბაღების გაერთიანების ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, სასამართლო და სხვა ინსტანციებში;
- დ) ახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს;
- ე) იურისტი ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე;

მუხლი 7. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვი ბაღების გაერთიანებაში შემავალი ბაღების საშტატო ერთეულებია:

- 1. ხელმძღვანელი;
- 2. მეთოდისტი;
- 3. აღმზრდელი-მასწავლებელი;
- 4. მუსიკის მასწავლებელი;
- 5. ლოგოპედი;
- 6. მედლა (ექთანი);
- 7. მზარეული;
- 8. აღმზრდელის თანაშემწე (ძიძა);
- 9. დამატებითი საგნის მასწავლებელი;
- 10. დარაჯი;
- 11. მნე (საწყობის გამგე);
- 12. დამლაგებელი;

1.საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი:

- ა) უზრუნველყოფს სტრუქტურულ ქვედანაყოფში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობას;
- ბ) ქმნის ბავშვებისათვის შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობებს;
- გ) უზრუნველყოფს ხარისხიანი კვებას და შესაბამისი რეჟიმის დაცვას;
- დ) აკონტროლებს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მოსამსახურეების მიერ შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვას და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მიმართვას ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მიმართ;

ე) აწვდის ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს სტრუქტურულ ქვედანაყოფში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის შესახებ ინფორმაციას.

ვ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

ზ) საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის) გამო ან სხვა საფუძვლის არსებობისას ხელმძღვანელისათვის შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერებისა, ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი აკისრებს ამავე სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთ-ერთ თანამშრომელს სტრუქტურული ხელმძღვანელის დროებითი მოვალეობის შესრულებას.

2.მეთოდისტი:

ა) შეიმუშავებს საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროგრამების პროექტებს.

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ალტერნატიული და ვარიანტული პროგრამების, შესაბამისი ტექნოლოგიების შესახებ, ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელთან.

გ) აკონტროლებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას. ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვას.

დ) კონტროლს უწევს საბავშვო ბაღში სანიტარულ-ჰიგიენური კვების მდგომარეობის, აღმზრდელთა და აღმზრდელის თანამშემწის, მზარეულის, მედლის მუშაობას.

3.საბავშვო ბაღის აღმზრდელი-მასწავლებელი:

ა) აღმზრდელი-მასწავლებელი პასუხს აგებს თითოეული ბავშვის სიცოცხლისა და ჯამრთელობის დაცვაზე, თვალყურს ადევნებს თავის ჯგუფს, ბავშვთა გამოცხადებას საბავშვო ბაღში.თავის დროზე აცნობებს საბავშვო ბაღის დირექტორს ბავშვის გამოუცხადელობის შესახებ.

ბ) ასრულებს მედლის მოთხოვნებს.

გ) ატარებს მშობელთან მუშაობას საბავშვო ბაღისა და ოჯახში ბავშვთა აღზრდის საკითხებზე.

დ) ვალდებულია გულმოდგინედ მოემზადოს მეცადინეობისათვის, ორგანიზებულად გადასცეს ბავშვები შემცველ აღმზრდელს.

ე) აღმზრდელს უფლება აქვს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის ადმინისტრაციისაგან მოითხოვოს შრომის შესაბამისი პირობების შექმნა, მიიღოს შესაბამისი პირობების შექმნა, მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება, გაწეული მუშობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს.

ვ) დაიცვას ბავშვთა უფლებები.

4. აღმზრდელის თანაშემწე(ძიძა):

- ა) აღმზრდელის თანაშემწე მორიგეობის საათებში პასუხს აგებს მასზედ განპირობებული ბავშვებისათვის, რომელსაც ის იბარებს სიით და აღმზრდელი დებულობს ცნობებს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ;
- ბ) აღმზრდელის თანაშემწე იცავს ჯგუფში არსებულ წესებს და ვალდებულებებს;
- გ) აღმზრდელის თანაშემწეს უფლება აქვს საბავშვო ბაღის ადმინისტრაციისაგან მოითხოვოს შრომის შესაბამისი პირობების შექმნა და შრომის ანაზღაურება.
- დ) ვალდებულია იცოდეს და შეასრულოს სანიტარული და სანძარსაწინააღმდეგო წესები, დაიცვას ბავშვთა უფლებები;

5. მუსიკის მასწავლებელი:

- ა) ახორციელებს ბავშვთა მუსიკალურ აღზრდას, საბავშვო ბაღის წესდების, შინაგანწესის დ პროგრამულ მეთოდურ-მითითებათა შესაბამისად;
- ბ) მუშაობს საბავშვო ბაღის თითოეულ ასაკობრივ ჯგუფთან კვირაში სამჯერ იმ მუშაობის ჩათვლით, რომელსაც ის ატარებს ბავშვებთან და აღსაზრდელებთან. აგრეთვე გართობის, საღამოების მოწყობისა და დღესასწაულების დროს;
- გ) ატარებს მუსიკალურ მეცადინეობას გემის მიხედვით, რომელც შედგენილია თითოეული ასაკობრივი ჯგუფის აღმზრდელებთან ერთად;
- დ) ასწავლის საბავშვო სიმღერებს, მუსიკალურ თამაშობებს და ცეკვებს, მშობლებს უწევს კონსულტაციას მუსიკალური აღზრდის საკითხებზე;
- ე) დაიცვას ბავშვთა უფლებები;

6. დამატებითი საგნის მასწავლებელი

- ა) საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლებისა და პედაგოგების შეთანხმებით უზრუნვეყოფს არჩეული საგნის სწავლებას.
- ბ) ახორციელებს ბავშვთა დამატებითი საგნის შესწავლას, საბავშვო ბაღის წესდების, შინაგანწესის დ პროგრამულ მეთოდურ-მითითებათა შესაბამისად;

7. მედიცინის და (მედა):

- ა) ყოველდღიურად სინჯავს ბავშვებს, ასრულებს ექიმის დანიშნულებას; ახორციელებს ბავშვის ფიზიკური განვითარებისა და მისი ორგანიზმის წრთობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს, თავის დროზე გამოყოფს ავადმყოფ ბავშვებს და უწევს მათ პირველად დახმარებას;

ბ) ახორციელებს კონტროლს საჭმლის მომზადების ხარისხზე და მენიუს შედგენაზე;

გ) ეწევა სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას, მშობელთა, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა და მომსახურე პერსონალს შორის ბავშვის პირადი ჰიგიენის, ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების, ბინის სანიტარული მოვლის საკითხებზე და სხვა;

დ) უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას საბავშვო ბაღის მუშაკებს, აწარმოებს სამედიცინო დოკუმენტაციას;

ე) მუშაობს ბაღის დირექტორთან შეთანხმებული გეგმისა და გრაფიკის მიხედვით, სისტემატურად აწვდის დირექტორს ინფორმაციას აღმზრდელებსა და მშობლებს ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

8. მზარეული:

ა) საბავშვო ბაღის რეჟიმის შესაბამისად უზრუნველყოფს საჭმლის თავის დროზე და ხარისხიანად მომზადებას.

მონაწილეობს ყოველდღიური მენიუს შედგენაში, ზუსტად წონის მიხედვით საწყობიდან იბარებს პროდუქტებს. პასუხს აგებს სამზარეულოს, ჭურჭლისა და მთელი ინვენტარის სანიტარულ მდგომარეობაზე.

ბ) ვალდებულია იცოდეს კვების ნორმები, ბავშვის საჭმლის მომზადების, შენახვისა და ვიტამინებით გამდიდრების წესები და სხვა.

9. სამეურნეო ნაწილის გამგე:

ა) უზრუნველყოფს შენობის, ქონებისა და პროდუქტების დაცვას, სადგომის ტერიტორიის და მოწყობილობის რემონტს, სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას;

ბ) ზრუნავს საბავშვო ბაღის აღმზრდელთათვის ნორმალური პირობების შექმნაზე;

გ) ზრუნავს საბავშვო ბაღის მუშაკთათვის შრომის სათანადო პირობების შექმნისათვის.

დ) საბავშვო ბაღის მწე სათანადო კონტროლს უწევს საბავშვო ბაღის აღმზრდელის თანაშემწის, მზარეულის, მზარეულის თანაშემწის, დამლაგებლის, დარაჯის მუშაობას;

ე) მუშაობს საბავშვო ბაღის დირექტორის ხელმძღვანელობით, არის მის წინაშე ანგარიშვალდებული პირი და პასუხს აგებს საბავშვო ბაღის ქონებისა და პროდუქტების დაცვაზე, მონაწილეობას ღებულობს მენიუს შედგენაში, პასუხს აგებს საჭმლის ხარისხოვან და დროულ დამზადებაზე; პროდუქტებით მომარაგებაზე, სამზარეულოს, საწყობებისა და საერთოდ საბავშვო ბაღის სანიტარულ მდგომარეობაზე.

10. დამლაგებელი

ა) საბავშვო ბაღში დაიცავს სანიტარულ-ჰიგიენური წესები და ნორმები.

ბ) უზრუნველყოფს საბავშვო ბაღის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას.

11. დარაჯი

ა) გუშაგობს საბავშვო ბაღს საღამოს 18 სთ-დან დილის 9-00 საათამდე. გუშაგად მორიგეობის პერიოდში მას დაძინების უფლება არა აქვს და პასუხისმგებელია საბავშვო ბაღის ინვენტარსა და შენობაზე.

ბ) ვალდებულია იცოდეს საბავშვო ბაღის დირექტორის, მნეს, პოლიციის, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების და სახანძრო სამსახურის ტელეფონების ნომრები.

გ) შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია დაუყოვნებლივ აცნობოს მათ შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 8. პედაგოგიური საბჭო

1.ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების პედაგოგიური საბჭო (შემდგომში პედსაბჭო) არის დაწესებული საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის მართვის მუდმივმოქმედი კოლექტიური ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს მეთოდისტი. პედსაბჭოს შემადგენლობაში შედის ყველა აღმზრდელი თანაბარი ხმის უფლებით.

2. პედსაბჭო იკრიბება მინიმუმ ერთჯერ სამ თვეში და უფლებამოსილია თუ სახეზეა არანაკლებ მთელი შემადგენლობის ორი მესამედი.

3. პ/საბჭოს პრიორიტეტებია: შემოქმედებითი ძიების, საუკეთესო ნოვაციების, საავტორო (აღტერნატიული) პროგრამების და საცდელი მასალების განხილვა-დანერგვა. წინადადებების შემუშავება დაწესებულების საგანმანათლებლო-სააღმზრდელო საკითხებზე. იგი განიხილავს ს/ბაღში არსებულ მდგომარეობას და აფასებს მას, შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და დასკვნებს.

მუხლი 9. სამეურვეო საბჭო

1.ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის მატერიალური და ფინანსური სახსრების მოზიდვის, დირექტორის მიერ ხარჯვისა და ქონების განკარგვის კონტროლისა და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვის მიზნით იქმნება სამეურვეო საბჭო.

2. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სამეურვეო საბჭო შედგება 7 წევრისაგან, რომელთაც ირჩევენ მშობელთა და აღმზრდელთა შემადგენლობიდან 2 წლის ვადით. ს/საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. იგი იკრიბება მინიმუმ თვეში ერთჯერ. სხდომას იწვევს და უძღვება საბჭოს თავმჯდომარე;

3. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის სხდომას ესწრება ნახევარზე მეტი;

4. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი;

5. სამეურვეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა, კემტრისერის შედეგი და მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

6. სამეურვეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილს იჭერს არჩევნებში მონაწილე ნაკლები ხმების მქონე კანდიდატი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში წევრის არჩევა ხდება შესაბამისად მშობელთა საერთო კრებაზე ან პედაგოგიური საბჭოს მიერ.

7. სამეურვეო საბჭოს პირველი არჩევნების ჩატარების წესსა და დროს ბრძანებით განსაზღვრავს საბავშვო ბაღის დირექტორი;

8. სამეურვეო საბჭოს შემდგომი არჩევნების ჩატარების წესი, მისი წევრის უფლებამოსილება და სხვა საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე წესდებით განისაზღვრება საბავშვო ბაღის შინაგანაწესით.

9. სამეურვეო საბჭო:

- ა) საბავშვო ბაღის ფინანსური საქმიანობის გაკონტროლების მიზნით გამოითხოვს დოკუმენტაციას, მოისმენს ინფორმაციას დაგეგმილი ფინანსური ღონისძიებების შესახებ, გასცემს თანხმობას ქონების განკარგავსთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებაზე, თუ ღირებულება აღემატება ს/ბაღის ფინანსური სახსრების 10%-ს.
- ბ) საბავშვო ბაღის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საბავშვო ბაღის შინაგანაწესს;
- გ) განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;
- დ) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;
- ე) ადგენს მუშაობის რეგლამენტს;
- ვ) განიხილავს დირექტორის მიერ შემუშავებული წლიური საბავშვო ბაღის სამუშაო გეგმას;
- ზ) ისმენს დირექტორის ანგარიშს საადმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;
- თ) დირექტორის მიერ საადმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ან საბავშვო ბაღის ინტერესების საზიანო ქმედების ჩადენისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ინიციატივით იშუამდგომლოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.
- ი) ახორციელებს არასაბიუჯეტო სახსრების მოზიდვას და მათ განკარგვაზე კონტროლს;
- კ) ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე;
- ლ) შეიმუშავებს საგანმანათლებლო-საადმზრდელო ნოვაციებს და წარადგენს განსახილველად მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით;
- მ) სამეურვეო საბჭოს უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი კომისია აღმზრდელის კვალიფიკაციის გასარკვევად და უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, პედაგოგთან ვადამდე შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა;
- ნ) ასრულებს წინამდებარე წესდებით, საბავშვო ბაღის შინაგანაწესით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 10. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქონებას წარმოადგენს მისი საქმიანობის შედეგად შექმნილი ქონება ან/და კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემული ქონება.

2. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ქობულეთის მუნიციპალიტეტის ან/და სხვა დაწესებულების (ფიზიკური, იურიდიული პირის) მიერ გადაეცემა ქონება საკუთრებაში ან/და სარგებლობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ფინანსურ წყაროს წარმოადგენს:

- ა) ადგილობრივი ბიუჯეტი და საბავშვო ბაღში სწავლებისათვის წილობრივი შემონატანი, რომლის განაკვეთი განისაზღვრება შინაგანაწესით, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

გ) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს საბავშვო ბაღის მიზნების რეალიზაციას.

დ) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას უფლება აქვს დააწესოს გადასახადი სტანდარტს ზევით გაწეულ მომსახურებაზე, რომელსაც განსაზღვრავს შინაგანაწესით;

ე) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარადგინოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურში.

ვ) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებს ბუღალტერი, რომელიც ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე;

ზ) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების წლიურ ხარჯთაღრიცხვას, საშტატო განრიგსა და თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავს დირექტორი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

მუხლი 11. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას

1. მუნიციპალიტეტის საკრებულო საბავშვო ბაღის ბიუჯეტს ითანხმებს მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

2. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები.

ა) ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა.

ბ) ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში საბავშვო ბაღის მისაღები კონტიგენტის ფასიანი შემონატანის განსაზღვრა.

გ) ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით განკარგვა.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უარი 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული.

მუხლი 12. სახელმწიფო კონტროლი

1. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობაზე კონტროლს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობაზე კოორდინაციას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური.

3. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ან/და აკრძალვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესით.

მუხლი 13. ზიანის ანაზღაურება

1. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს დირექტორზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

2. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით.

მუხლი 14. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა

ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე.

მუხლი 25. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე.

